

HUMAN RIGHTS WATCH

350 Fifth Avenue, 34th Floor
New York, NY 10118
Phone: 212-290-4700
Fax: 212-736-1300
hrwnyc@hrw.org
Website: <http://www.hrw.org>

EUROPE AND CENTRAL ASIA DIVISION

Elizabeth Andersen
Executive Director
Rachel Denber
Deputy Director
Diederik Lohman
Moscow Office Director
Julia Hall
Senior Researcher
Alexander Anderson
Matilda Bogner
Julie Chadbourne
Bogdan Ivanisevic
Anna Neistat
Darian Pavli
Acacia Shields
Jonathan Sugden
Research Associates
Alexander Petrov
Deputy Director, Moscow Office
Liudmila Belova
Rachel Bien
Elizabeth Eagen
Giorgi Gogia
Maria Pulzetti
Associates

STEERING COMMITTEE

Peter Osnos, *Chair*
Alice H. Henkin, *Vice Chair*
Morton Abramowitz
Barbara Finberg
Frederica Friedman
Felice Gaer
Michael Gellert
Paul Goble
Stanley Hoffman
Robert James
Kati Marton
Prema Mathai-Davis
Karl Meyer
Joel Motley
Herbert Okun
Jane Olson
Leon Sigal
Malcolm Smith
George Soros
Donald J. Sutherland
Ruti Teitel
Mark Walton
William D. Zabel
Warren Zimmermann

HUMAN RIGHTS WATCH

Kenneth Roth
Executive Director
Michele Alexander
Development and Outreach Director
Carroll Bogert
Communications Director
Reed Brody
Advocacy Director
John T. Green
Operations Director
Barbara Guglielmo
Finance Director
Lotte Leicht
Brussels Office Director
Tom Malinowski
Washington Advocacy Director
Michael McClintock
Deputy Program Director
Maria Pignataro Nielsen
Human Resources Director
Dinah PoKempner
General Counsel
Malcolm Smart
Program Director
Wilder Tayler
Legal and Policy Director
Joanna Weschler
UN Representative
Jonathan Fanton
Chair



არაოფიციალური თარგმანი

9 ნოემბერი, 2001 წ.

პრეზიდენტ ელუარდ შევარდნაძეს
სახელმწიფო კანცელარია
ინგოროყვას 7
თბილისი 380034
საქართველო

ბატონო პრეზიდენტო,

მე გწერთ, რათა თქვენი ყურადღება მივაპყრო საქართველოს სამართალდამცავების უუნარობაზე დაიცვან არატრადიციული რელიგიის მიმდევრები. ვინაიდან, თქვენ ახლა აყალიბებთ ახალ მთავრობას, მოგიწოდებთ, შინაგან საქმეთა მინისტრის, გენერალური პროკურორისა და უშიშროების მინისტრის შერჩევას კანდიდატებს მოთხოვით ბრბოს ძალადობის დაუყოვნებელი აღმოფხვრა არამართლმადიდებელი ქრისტიანების წინააღმდეგ.

29 აგვისტოს Human Rights Watch-მა გამოაქვეყნა მემორანდუმი, სადაც დეტალურადაა აღწერილი ასეთი სახის ძალადობის აღმასვლა საქართველოში უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში და საქართველოს ხელისუფლების უმოქმედება ძალადობის აღმოსაფხვრელად. მემორანდუმი, რომელსაც თან ვურთავ ამ წერილს, მიემართებოდა ამერიკის მთავრობას და რეკომენდაციებს აძლევდა მას რელიგიის თავისუფლების საერთაშორისო აქტით გათვალისწინებულ ღონისძიებებზე.

მე მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მოგახსენოთ მემორანდუმის კვლევის ზოგიერთი შედეგი და შემოგთავაზოთ რეკომენდაციები, რათა სამართალდამცავთა რეაქცია ძალადობის ფაქტებზე შეესაბამებოდეს საქართველოს მიერ ნაკისრ საერთაშორისო სამართლებრივ ვალდებულებებს. სექტემბერში განხორციელებული რელიგიური ძალადობის მთელი რიგი ფაქტები ცხადყოფს ეფექტური ზომების გადაუღებელ საჭიროებას, რათა ბოლო მოეღოს რელიგიის ნიადაგზე ჩადენილი ძალადობისათვის დაუსჯელობის სინდრომის არსებობას და დაცულ იყვნენ არამართლმადიდებელი რელიგიის მიმდევრები.

Human Rights Watch-მა კვლევისას უშუალოდ გამოკითხა რელიგიური ძალადობის ოცდაორი მსხვერპლი. მემორანდუმში დოკუმენტირებულია რელიგიის ნიადაგზე ჩადენილი ათი თავდასხმა, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მარტო 2001 წლის იანვრიდან აგვისტომდე ადგილი ჰქონდა ორმოცზე მეტ ასეთ შემთხვევას. კვლევამ ცხადჰყო, რომ პოლიციისა და პროკურატურის მხრიდან ადგილი არ ჰქონია რაიმე სერიოზულ მცდელობას გამოეძია და სამართალში მიეცა თავდამსხმელები, რის შედეგადაც დამკვიდრდა უდანაშაულობის სინდრომი და გახშირდა ძალადობათა შემთხვევები. ბოროტმოქმედნი გზას უჭრიან სალოცავად მიმავალ ან ლოცვიდან მობრუნებულ მორწმუნეებს, არბევნ საკუთარ სახლებში გამართულ რელიგიურ შეკრებებსაც. თავდამსხმელები სცემენ მორწმუნეებს რომელთაც, რიგ შემთხვევებში, სერიოზულ ფიზიკურ დაზიანებებს აყენებენ, აპარტახებენ საკუთარ სახლებს, ანადგურებენ კერძო საკუთრებასა და წვავენ რელიგიურ ლიტერატურას. თავდამსხმელებმა მსხვერპლნი მათი მრწამსის გამო გაიხადეს სამიზნედ და ყოველგვარ ღონეს ხმარობენ, რათა აიძულონ ეს უკანასკნელნი უარი თქვან არჩეულ აღმსარებლობაზე.

განსაკუთრებით შემაშფოთებელია ის ფაქტი, რომ თავდასხმათა ლიდერებისა და აქტიური მონაწილეების ვინაობა კარგადაა ცნობილი ქართველი სამართალდამცავებისთვის, რომელთაც ორი წლის განმავლობაში ვერ შეძლეს მათი დაპატიმრება. ერთ-ერთი ლიდერი, ბასილი მკალავიშვილი, ტელევიზიის საშუალებით ხშირად საჯაროდ აცხადებს თავისი გეგმების შესახებ – დაარბიოს არამართლმადიდებელი ქრისტიანების ყრილობები. ის ასევე საჯაროდ აცხადებს, რომ სარგებლობს პოლიციისა და უშიშროების ძალების მხარდაჭერით. 2001 წლის 3 სექტემბერს თბილისის საქალაქო პროკურატურამ ბრალი წაუყენა ბასილ მკალავიშვილსა და მის თანამოაზრეს – პეტრე (გია) ივანიძეს. ბრალდება მოიცავს მხოლოდ ხუთ შემთხვევას იმ მრავალი თავდასხმათაგან, რომელშიც ისინი სავარაუდოდ მონაწილეობდნენ. მიუხედავად ამისა, ისინი და ბრალდებაში მოხსენიებული მათი სხვა თანამზრახველნი თავისუფლად აგრძელებენ მორიგი თავდასხმების ორგანიზებასა და განხორციელებას და რწმენის თავისუფლების უფლების დარღვევას.

სექტემბერში განხორციელებული სამი თავდასხმა ცხადყოფს თუ რა საფრთხეს წარმოადგენს არამართლმადიდებელი მორწმუნეებისათვის დაუსჯელობის სინდრომის არსებობა. 28 სექტემბერს მკალავიშვილმა და მისმა თანამზრახველებმა, ორგანიზაცია “ჯვართან” ერთად გადაკეტეს თბილისის სამხრეთით, მარნეულისკენ მიმავალი გზა, რათა ხელი შეეშალათ იელოვას მოწმეების განზრახვისათვის – დასწრებოდნენ ყოველწლიურ კონგრესს მარნეულში. იელოვას მოწმეთა ორგანიზაციის გადმოცემით, ხელკეტებითა და ქვებით შეიარაღებულმა ბრბომ, პოლიციის საგზაო ბლოკის მახლობლად, გააჩერა მსუბუქი ავტომობილები და ავტობუსები, ძირს ჩამოათრია ასამდე მგზავრი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. დაახლოებით ერთი საათის მოგვიანებით მკალავიშვილისა და ჯვარის მიმდევართა 150-მდე პირი თავს დაესხა ოჯახს მარნეულში, სადაც კონგრესი უნდა ჩატარებულიყო. თავდამსხმელებმა შეძლევ გააპარტახნეს კონგრესის ჩასატარებელი ადგილი, კერძო სახლი, სცემეს იქ მყოფ მორწმუნეებს და დაწვეს რელიგიური ლიტერატურა. გადმოცემით, იმ დღეს ბრბომ სულ მცირე თხუთმეტ ადამიანს მიაყენა სერიოზული დაზიანება.

როგორც ცნობილია, ამ თავდასხმას ადგილი ჰქონდა პოლიციის პოსტთან ახლოს, მაგრამ, როგორც იელოვას მოწმეების ორგანიზაციამ აცნობა Human Rights Watch-ს, პოლიცია არ უცდია მოძალადეთა დაშლა, ან ძალადობის თავიდან აცილება. როგორც ირკვევა, პოლიცია მოძალადეთა წასვლიდან საკმაოდ დიდი ხნის შემდეგ მივიდა ადგილზე, სადაც კონგრესი უნდა ჩატარებულიყო მარნეულში. პოლიციის უმოქმედება

განსაკუთრებით შემაშფოთებელია მაშინ, როცა იელოვას მოწმეთა განუწყვეტელი სატელეფონო ზარები პოლიციაში 7 საათსა და 30 წუთზე დაიწყო.

უფრო მეტიც, პოლიციას საკმარისი ინფორმაცია გააჩნდა იმისათვის, რომ ევარაუდა კონგრესის ძალადობრივი დასასრული. ეს თავდასხმა ანალოგიური იყო მკალავიშვილის მიერ 2000 წლის სექტემბერში მარნეულში განხორციელებული დარბევისა. ეს პრეცედენტი და პოლიციის რეაქცია აღწერილია დანართ მემორანდუმში. იელოვას მოწმეების ორგანიზაციამ Human Rights Watch-ს განუცხადა, რომ მათ არაერთხელ მიმართეს პოლიციას იმ მოწოდებით, რომ დაეცვათ კონგრესის წლევეანდელი მონაწილეები მოსალოდნელი დარბევისაგან.

23 სექტემბერს მკალავიშვილი და მისი მომხრეები თავს დაესხნენ ევანგელისტური ეკლესია “მადლის” საგალობლო გუნდის რეპეტიციას. “მადლის” განცხადებით, ხელკეტებით შეიარაღებულმა თავდამსხმელებმა სცემეს და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს შეკრებილთ. ეკლესიის პასტორმა მედიასთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ ეკლესიის თორმეტმა წევრმა მიიღო სხეულის სერიოზული დაზიანება.

იმავე კვირას განხორციელებულ მესამე თავდასხმისას ორგანიზაცია ჯვარის თოთხმეტამდე წევრმა დაარბია რუსთაველაში შეკრებილი იელოვას მოწმეები. იელოვას მოწმეების ორგანიზაციამ Human Rights Watch-ს განუცხადა, რომ თავდამსხმელებმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს შეკრებილთ და ჩამოართვეს რელიგიური ლიტერატურა.

ჩვენ ასევე შეშფოთებულნი ვართ ბასილი მკალავიშვილის მიერ 24 სექტემბერს რუსთაველის გამზირზე მოწყობილი მსვლელობის ფაქტის გამო. მედიის ცნობით, მკალავიშვილის სიტყვები და მის თანამზრახველთა პლაკატები მოუწოდებდნენ იელოვას მოწმეთა და სხვა არამართლმადიდებლური რელიგიის მიმდევართა წინააღმდეგ ძალადობისკენ იმ მიზნით, რათა ეს უკანასკნელნი განიდევნონ საქართველოდან.

საქართველოს გააჩნია ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ხელშეკრულებებით განსაზღვრული ვალდებულებები, დაიცვას მის ტერიტორიაზე მყოფი ყველა პირი არასახელმწიფო მოქმედ პირთა ძალადობისაგან.

სახელმწიფოს ეს ვალდებულება განსაზღვრულია საერთაშორისო კონვენციით ადამიანის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, მუხლი 2:

1. წინამდებარე კონვენციის თითოეული მხარე სახელმწიფო ვალდებულებას იღებს პატივი სცეს ამ კონვენციაში აღიარებულ უფლებებს და უზრუნველყოს მათი განხორციელება მის ტერიტორიაზე მცხოვრები და მის იურისდიქციის ქვეშ მყოფი თითოეული ინდივიდის მიერ, განურჩევლად რაიმე ნიშნისა, როგორცაა რასა, კანის ფერი, სქესი, ენა, სარწმუნოება, პოლიტიკური ან სხვაგვარი შეხედულებები, ეროვნული ან სოციალური კუთვნილება, ქონებრივი მდგომარეობა, დაბადებით შეძენილი ან რაიმე სხვა სტატუსი.
2. წინამდებარე კონვენციის თითოეული მხარე სახელმწიფო ვალდებულებას იღებს საკუთარი კონსტიტუციური პროცედურებისა და წინამდებარე კონვენციის პირობების შესაბამისად, გადადგას ნაბიჯები საკანონმდებლო ან სხვაგვარი ზომების მისაღებად, რომლებიც, შესაძლოა, აუცილებელი გახდეს წინამდებარე კონვენციით გათვალისწინებული უფლებების განხორციელებისათვის, თუკი ამგვარი საკანონმდებლო ან სხვა ზომები ჯერაც არ არის მიღებული.

3. წინამდებარე კონვენციის თითოეული მხარე სახელმწიფო ვალდებულებას იღებს:
 - ა) უზრუნველყოს თითოეული ადამიანისათვის სათანადო ანაზღაურება, თუკი ამ ადამიანის მისამართით ადგილი აქვს წინამდებარე კონვენციით აღიარებული უფლებებისა და თავისუფლებების ხელყოფას, მაშინაც კი, როდესაც ხელმყოფი პირი რაიმე ოფიციალური რწმუნებით მოქმედებს;
 - ბ) იმ შემთხვევაში, როდესაც რომელიმე ადამიანი ამგვარ ანაზღაურებას მოითხოვს, უზრუნველყოს მისი მაშტაბის განსაზღვრა სასამართლო, ადმინისტრაციული ან საკანონმდებლო წესით ან, სახელმწიფო კანონმდებლობით დაწესებული რაიმე სხვა კომპეტენტური ორგანოს საშუალებით და შექმნას ამგვარი ანაზღაურების მიღების შესაძლებლობა სასამართლო წესით;
 - გ) ანაზღაურების შესახებ გადაწყვეტილების გამოტანის შემთხვევაში უზრუნველყოს ასეთი გადაწყვეტილების აღსრულება კომპეტენტური ორგანოების მიერ.

მოცემულ შემთხვევაში საქართველო ვალდებულია დაიცვას არამართლმადიდებელი რელიგიის მიმდევრები წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან სასჯელისაგან (მუხლი 7); პირადობის, ოჯახის, სახლის ან მიმოწერის თავისუფლების უფლების დაუსაბუთებლად ან უკანონოდ დარღვევისაგან (მუხლი 17); ფიქრის, სინდისისა და რწმენის თავისუფლების უფლების (მუხლი 18), აზრის გამოხატვის თავისუფლების (მუხლი 19), მშვიდობიანი შეკრების უფლებისა (მუხლი 21) და ასოციაციის თავისუფლების (მუხლი 22) ხელყოფისაგან.

1981 წლის გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის ნომერ მესამე საზოგადო კომენტარი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მეორე მუხლის აღსრულება არ ნიშნავს მხოლოდ საკონსტიტუციო თუ საკანონმდებლო ცვლილებების მიღებას, არამედ საჭიროებს ხელისუფლებისაგან აქტიური ან “კონკრეტული” ზომების გატარებას, რათა ინდივიდებმა შეძლონ თავიანთი უფლებით სარგებლობა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, როდესაც მიიღებთ გადაწყვეტილებას შინაგან საქმეთა მინისტრის, გენერალური პროკურორისა და უშიშროების მინისტრის კანდიდატურებზე, გთხოვთ გაითვალისწინოთ შემდგომი კონკრეტული ზომები, რათა საქართველომ განახორციელოს საერთაშორისო სამართლის ნორმებით აღებული ვალდებულებები:

- პოლიციამ და პროკურატურამ უნდა დაიცვას არამათმადიდებლური რელიგიის მიმდევრები ბრბოს შემდგომი ძალადობისაგან, რაც ნიშნავს მოძალადეთა ცნობილი ლიდერების – კონკრეტულად, ბასილი მკალავიშვილის, პეტრე (გია) ივანიძისა და დარბევათა სხვა მონაწილეების, რომლებიც 3 სექტემბრის ბრალდებაში არიან მოხსენიებულნი – დაუყოვნებლივ დაპატიმრებასა და სამართალში მიცემას. გარდა ამისა, ორგანიზაცია ჯვარის ლიდერი, პაატა ბლუაშვილი, აგრეთვე უნდა იქნეს სამართალში მიცემული იმ ბრალისდა მიხედვით, რომელიც მას მიუძღვის დარბევებში;
- პოლიციამ კონსულტაციებისა და კეთილი ნების სახით, მათი უსაფრთხოების მოთხოვნის გათვალისწინებით, უნდა ითანამშრომლოს არამართლმადიდებელი ქრისტიანების მიმდევრებთან, რათა შეძლოს მათი ეფექტურად დაცვა ძალადობრივი თავდასხმებისგან;

- სამართალდამცავმა ორგანოებმა დაუყოვნებლივ და მიუკერძოებლად უნდა გამოიძიონ არამართლმადიდებელი სარწმუნოების მიმდევართა ყველა საჩივარი და სამართალში მიცენ ღამნაშავენი. ჩვენ მოგიწოდებთ, რომ ამ გამოძიების მიერ მოპოვებული მასალები – მამულები, მეთოდებისა და შედეგების ჩათვლით, ყველა დარბევის შესახებ მიღებული საჩივრის, წინამდებარე წერილისა და ჩვენს მიერ მემორანდუმსა თუ სხვა წერილებში აღწერილი ფაქტების ჩათვლით – საზოგადოდ გამოაქვეყნოთ და ასლი გაუგზავნოთ Human Rights Watch-ს;
- კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში უნდა მოხდეს ძალადობრივი თავდასხმების მსხვერპლთათვის ფინანსური ანაზღაურების დანიშვნა;
- უნდა განხორციელდეს დამოუკიდებელი, სრუყოფილი და მიუკერძოებელი გამოძიება ან შესწავლა უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების ქმედებისა თუ უმოქმედებისა, რასაც შესაძლოა მოჰყვა არამართლმადიდებელი ქრისტიანების მიმართ თავდასხმათა რიცხვის ზრდა. ამ გამოძიებამ უნდა მოიცავს სამართალდამცავებისა და მოძალადეების შესაძლო კავშირი. გამოძიების მიერ მოპოვებული მასალები უნდა იქნას საზოგადოდ გამოქვეყნებული, მამულები, მეთოდებისა და შედეგების ჩათვლით. ის ოფიციალური პირები, რომლებიც ხელს უწყობდნენ ძალადობის აღმასვლას, თუკი ამას გამოძიება დაადგებს, სამართალში უნდა იქნან მიცემულნი. ამ გამოძიების მანდატი უნდა მოიცავდეს რეკომენდაციებს სამართალდამცავი ორგანოების ინსტიტუციონალური რეფორმების შესახებ, რათა საქართველომ უზრუნველყოს მის მიერ საერთაშორისო სამართლის ნორმებით ნაკისრი ვალდებულებები და ძალადობისაგან დაიცვას ყველა რელიგიური ჯგუფი.

Human Rights Watch-ი დიდად აფასებს იმ განცხადებებს, რომელიც თქვენ გააკეთეთ რელიგიური ძალადობის წინააღმდეგ და, რომელიც დართულ მემორანდუმშია განხილული. ჩვენ ახლა მოგიწოდებთ, მიიღოთ ეფექტური ზომები, რათა ბოლო მოეღოს ასეთი სახის ძალადობას.

მადლობას მოგახსენებთ ამ წერილში გამოხატული შეშფოთებების ყურადღებისთვის და მივესალმებით თქვენს პასუხს, რომელიც შეგიძლიათ გამოაგზავნოთ ფაქსით: +1 212 736 1200 (ნიუ იორკი) ან 22-10-99 (თბილისი)

პატივისცემით,

ელიზაბეტ ანდერსენი
 აღმასრულებელი დირექტორი
 ევროპისა და ცენტრალური აზიის განყოფილება
 Human Rights Watch

ასლი გაეგზავნათ:

ნანა დევდარიანს, საქართველოს სახალხო დამცველი

ელენე თევდორაძეს, პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის
თამჯდომარე

ზურაბ ადგიშვილს, იურიდიულ საკითხთა, კანონიერებისა და ადმინისტრაციული
რეფორმების კომიტეტი

ნინო ბურჯანაძეს, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი

პრემიერ მინისტრ გი ვერჰოფშტაოს, ევროკავშირის ბელგიის პრეზიდენტობა
კრის პატენს, ევროკავშირი, საგარეო ურთიერთობების კომიტეტი

ხავიერ სოლანას, ევროსაბჭოს გენერალური მდივანი

ნიკოლ ფონტენის, ევროპარლამენტის თავჯდომარე

ელმარ ბროქს, ევროპარლამენტის საგარეო ურთიერთობათა, უშიშროებისა და
თავდაცვის კომიტეტის თავჯდომარე

დოქტორ კონდოლიზა რაისს, ა.შ.შ.–ს მრჩეველი სახელმწიფო უშიშროების
საკითხებში

კოლინ ფაუელს, ა.შ.შ.–ს სახელმწიფო მდივანი

ელჩ დანიელ ფრიდს, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი, ევროპისა და ევრაზიის
განყოფილების უფროსი დირექტორი

ელჩ ელიზაბეტ ჯოუნსს, ა.შ.შ.–ს სახელმწიფო მდივნის თანამემწე ევროპისა და
ევრაზიის საკითხებში

ლორნა კრეინერს, ა.შ.შ.–ს სახელმწიფო მდივნის თანამემწე ადამიანის
უფლებებისა და დასაქმების საკითხებში

დინ მაიკელ იანგს, ა.შ.შ.–ს საერთაშორისო რწმენის თავისუფლების კომისიის
თავჯდომარე

ლორდ რასელ-ჯონსტონს, პრეზიდენტი, საპარლამენტო ასამბლეა, ევროსაბჭო
უოლტერ შვიმერს, აღმასრულებელი მდივანი, ევროსაბჭო

ჯოაო ბოსკო მოტა ამარალს, თავჯდომარე, სამეთვალყურეო კომიტეტი,
ევროსაბჭო

ლინო დიანა, მომხსენებელი საქართველოზე, სამეთვალყურეო კომიტეტი,
ევროსაბჭო

მატიამ ეორსი, მომხსენებელი საქართველოზე, სამეთვალყურეო კომიტეტი,
ევროსაბჭო

ეუთოს თავჯდომარეს მირცვა ჯოანას

ელჩ ჯერალდ შტუდმანს, დირექტორი, ეუთოს დემოკრატიისა და ადამიანის
უფლებათა დამცველი ოფისი

თორბენ ჰოლცს, საქართველოში ევროკომისიის დელეგაციის თავჯდომარე

ელჩ ჯინ-მაიკლ ლაკომს, ეუთოს მისიის ხელმძღვანელი საქართველოში

დებორა ბარნს-ჯოუნსს, დიდი ბრიტანეთის ელჩი საქართველოში

ფილიპ რამლერს, აშშ-ს ელჩის მოვალეობის შემსრულებელი საქართველოში

ჰარი მოლენარს, ნიდერლანდების სამეფოს ელჩი საქართველოში

მიქელანჯელო ჰიპანს, იტალიის ელჩი საქართველოში